საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის N5 ოქმით) ცვლილებები:

1. დებულების **მე-3 მუხლის პირველი პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.";

2. დებულების **მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მ) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე, ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.";

3. დებულების **მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.".